თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თენგიზ მთვარელიშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება:	საფინანსო საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	საკრებულოს მაჟორიტარი წევრი აღმოსავლეთ თელავში (საარჩევნო ოლქი N17/02)
საანგარიშო პერიოდი	2023 წლის **01 ნოემბერიდან** დან 2024 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. 1 **სულ** საკრებულოს სხდომების რაოდენობა **15**
   საკრებულოს სხდომებზე დასწრება **13**

1.2 **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა** - 23 (მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების)

კომისიის სხდომებზე დასწრება - 3 (მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების)

1.3 **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა** -5
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: მნიშვნელოვანი საკითხი იყო თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭება.

მხარი დავუჭირე ასევე, ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფას, მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - 0

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა
და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

მოქალაქეებთან შეხვედრას აქვს რეგულარული ხასიათი, საანგარიშო პერიოდში გაიმართა 25 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან;
დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 30-35 მოქალაქე;

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ჩემს სამაჟორიტარო უბანში მოსახლეობასთან შეხვედრებისას, მოვისმინე იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც არსებობს აღმოსავლეთ თელავში კერძოდ: მოსახლეობის ძირითად პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურული პრობლემები.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოს მიმართ წარდგენილი მაქვს სარეკომენდაციო სახის წინადადებები, რომლის შედეგადაც მოხდა:

- ყვარლისა და ოსტროვსკის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- სოხუმის ქუჩაზე და სამხედრო ქალაქის დასახლებაში მინი სტადიონების მოწყობა;
- ლესია უკრაინკის, მახათელაშვილის, დავითაშვილის, ყაზბეგის, სამაჩაბლოს, ევდოშვილის, ჯორჯაძის, გოძიაშვილის, თამარის, რობაქიძის, ყვარლის, ოსტროვსკის, მაჩაბელის, მუსხელიშვილის, ამირეჯიბის, მაგამედოვის, ახმეტელის, ზაქარიაძის, ბესიკის, სადგურის, ნონეშვილისა და ლეონიძის ქუჩების მოასფალტება.

ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული „მშვიდობის პარკის“ მოწყობასთან დაკავშირებით.

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მივლინებით ვიმყოფებოდი - ბელგიის ქალაქ ბრიუსელში (PLATFORMA-ს პოლიტიკური საბჭოების შეხვედრაზე) და ასევე მონაწილეობა მივიღე საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, ევროპის საბჭოში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ეროვნული ასოციაციების კონფერენციაში .

ჩემი როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, უფლებამოსილების განხორციელებისას :

- მოეწყო 2 შეხვედრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის კუთხით - ერთი შეხვედრა განხორციელდა დასაქმების ხელშეწყობსი სხელმწიფო სააგენტოსთან

თანამშრომლობით, ხოლო მეორე აწარმოე საქართველოსა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან ერთად.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად მომზადებული მქონდა ინიციატივა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა თემატური მოკვლევა „გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე"

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

შევსების თარიღი: 30.10.24
წარდგენის თარიღი : 30.10.24

ხელმოწერა ----------